

მე-4 კლასი

ანალოგიები

- წიგნი:წაკითხვა
ა. გიტარა:დაკვრა ბ. რვეული:ფურცელი გ. წერა:კალამი
- ჭუკი:ბატი ლიფსიტა:
ა. გველი ბ. თევზი გ. ვირი

წინადადებების შევსება


- რეზი _____ მოსწავლეა, მაგრამ გაკვეთილებს _____ აცდენს.
ა. ზარმაცი/არასოდეს
ბ. ზარმაცი/ძალიან ხშირად
გ. ბეჯითი/თითქმის არ
- _____, რომ ლიზიმ ცურვა არ იცის, _____ ზღვაზე დასვენება.
ა. იმის გათვალისწინებით/მაინც ძალიან უყვარს
ბ. იმის მიუხედავად/ მაინც ძალიან უყვარს
გ. იმის მიუხედავად/მას არ უყვარს

ლოგიკა

- ანრი, ბაჩო, გუკა და დაჩი სიმაღლის მიხედვით დგანან. ბაჩო ყველაზე მაღალსა და ანრის შორის დგას. დაჩი კი ყველაზე დაბალია. ვინაა ყველაზე მაღალი?
ა. ანრი ბ. ბაჩო გ. გუკა
- ლუკა, საბა და სანდრო ბურთით თამაშობენ. პირველ სვლაზე ლუკამ გაუგორა სანდროს, მეორე სვლაზე სანდრომ გაუგორა საბას, შემდეგ საბამ _ლუკას და ისევ თავიდან. ვინ ვის გაუგორებს ბურთს მე-13 გაგორებაზე?
ა. ლუკა გაუგორებს სანდროს
ბ. სანდრო გაუგორებს საბას
გ. საბა გაუგორებს ლუკას


IQ-ს ელემენტები

- რომელია ზედმეტი?



ა ბ გ

- რა ფიგურა უნდა ჩავსვათ კითხვის ნიშნის ნაცვლად?



მათემატიკური აზროვნება

9. რომელია მეტი? შემოხაზეთ ა თუ მეტია A, შემოხაზეთ ბ თუ მეტია B და შემოხაზეთ გ თუ

$$A=B$$

$$A = 45 - (23 + 13)$$

$$B = 10$$

ა ბ გ

10. ავტობუსში მგზავრების რაოდენობა 27 გახდა მას შემდეგ, რაც გაჩერებაზე 5 მზავრი ჩავიდა და 9 ამოვიდა. რამდენი მგზავრი ყოფილა ავტობუსში ამ გაჩერებაზე მოსვლამდე?

ა. 23 ბ. 31 გ. 24